 სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია
LEPL - THE ACADEMY OF THE MINISTRY OF FINANCE

სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია

კვებითი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის სატენდერო დოკუმენტაცია

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის——————————————————2 გვ.
2. ტექნიკური დოკუმენტაცია——————————————————————3 გვ.
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი——————————5 გვ.
4. ფასების ცხრილის ფორმა დანართი #1——————————————————10 გვ.
5. რეკვიზიტები დანართი #2——————————————————————12 გვ.

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის 12[1] მუხლის, ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ'' სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის #9 ბრძანების საფუძველზე.

1. ინსტრუქცია გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.3 დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულობა).

1.5 სატენდერო პროცედურების განხორციელების ეტაპზე სუბკონტრაქტორ(ებ)ის არსებობის შემთხვევაში სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული უნდა იქნას პრეტენდენტსა და სუბკონტრაქტორ(ებ)ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებ(ები)ა.

1.6 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.7 პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება.

1.8 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16, მე–9 სართული, 9-2 ოთახი. საკონტაქტო პირი: ლანა პირტახია. ტელ.: 822 261 573.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1 ანგარიშსწორების პირობები:

2.1.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

2.1.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

2.1.3 ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან, (თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ეს გადამხდელი, დღგ-ეს არ გადამხდელობის შესახებ შესაბამისი ცნობის წარმოდგენიდან) და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

2.1.4 საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2.2 ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია: არ გამოიყენება

2.3 შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება:

2.3.1 შესყიდვის ობიექტია კვებითი მომსახურება 600 პერსონისათვის;

2.3.2 მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი სახის აუცილებელი ინვენტარის ქონა:

ა) მაცივრი;

ბ) მიკრო ტალღური ღუმელი;

გ) სხვადასხვა დანიშნულების ჭურჭელი (თეფში, დანა-ჩანგალი, კოვზი, ჭიქა, ფინჯანი, სამარილე, საშაქრე, სატყემლე, ფოდნოსი და სხვა)

დ) გადასაფარებლები, ხელსახოცები

2.3.3 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდების ადგილზე მომსახურე პერსონალის ყოფნა მომსახურების გაწევის პერიოდში;

2.3.4 მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს სამზარეულოს, სასადილო ოთახის და მომსახურების გაწევისათვის საჭირო ინვენტარის/ნივთების დასუფთავება, საკვები და სხვა სახის ნარჩენების გატანა შენობიდან.

2.3.5 მისაწოდებელი კერძები და კვების პროდუქტები თავისი საგემოვნო თვისებებეით უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის სტანდარტებს და უნდა იყოს საკვებად ვარგისი და ჯანმრთელობისთვის უვნებელი, რაზეც მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით;

2.3.6 მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული შესყიდვის ობიექტის ღირებულება უნდა დაანგარიშდეს შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ განსაზღვრული კვების მომსახურების ფასთა ცხრილის ფორმით (სატენდერო დოკუმენტაციის დანართი №1) და მის შესაბამისად. მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი ფასთა ცხრილში მითითებული ერთეულის ფასი და საერთო ღირებულება უნდა ითვალისწინებდეს შესასყიდი მომსახურების გაწევისთვის საჭირო ყველა ხარჯს მათ შორის,

კერძების და კვების პროდუქტების ტრანსპორტირების ხარჯს და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, დღგ-ეს ჩათვლით.

2.3.7. შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს მხოლოდ ყავით შესვენება ან სადილი ან ყველა ერთად ან/და დააჯგუფოს საჭიროებისამებრ.

2.4 შესყიდვის ობიექტის მომსახურების გაწევის ვადები და პირობები:

2.4.1 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2.4.2 მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ქ.თბილისი ორხევის დასახლება აბზიანიძის ქ. №4-ში განთავსებულ სასწავლო კომპლექსში.

2.5 პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

2.5.1 გასაწევი მომსახურების ფასების ცხრილი დანართი №1–ის შესაბამისად;

2.5.2 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რეკვიზიტები დანართი №2–ის მიხედვით;

2.5.3 ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;

2.5.4 ინფორმაცია მომსახურების გაწევისათვის აუცილებელი ინვენტარის შესახებ;

3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ქ. თბილისი „____“ _____“ 2011 წელი

ერთი მხრივ, სსიპ ფინანსთა სამინისტროს აკადემია (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი მისი დირექტორის სერგო ნოზაძის სახით და მეორე მხრივ, ----- (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი დირექტორის ------ სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანომდებლობის, მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში _ „ხელშეკრულება“) _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებულ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.4 „შემსყიდველი“ - ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.5 „მიმწოდებელი“ - პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;

1.6 „მომსახურება“ - წინამდება ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით კვებითი მომსახურების (კლასიფიკატორის CPV- 55300000 კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი - 553200000) შესყიდვა. ტექნიკური დოკუმენტაცია და ფასების ცხრილი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1 მომსახურების გაწევის ვადები: მომსახურების გაწევა უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შესაბამისად 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.2 მომსახურების გაწევის ადგილი: ქ. თბილისი ორხევის დასახლება აბზიანიძის ქ. №4

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს ------ ლარს.

4.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4.3 ფასების ცვლილების შესახებ ამ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვილებაზე.

4.4 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შეცვლა, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

5. მხარეთა ვალდებულებები

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

5.1.1 უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა, ფასების ცხრილისა და ტექნიკური დავალების შესაბამისად;

5.1.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.1.3 მომსაუხრების გაწევა უნდა განხორციელდეს სატენდერო დოკუმენტაცის ტექნიკური დავალების სრული გათვალისწინებით და დაცვით.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია:

5.2.1 უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

5.2.2 განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:

5.3.1 მოსთხოვოს შემსყიდველს ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

6. ხარისხი

გაწეული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად, მოსახურების გაწევის დროს.

7.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროს განახორციელებს: სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

7.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ წერილობითი დადგენილ ვადებში გამოასწოროს წუნი, ხოლო თუ მიმწოდებელი ვერ შეძლებს წუნის გამოსწორებას და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს მომსახურების ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული მომსაუხრების ღირებულება.

7.4 თუ ამ მუხლის 7.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ამ

ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

8. მიღება-ჩაბარების წესი

8.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელის მოწერით, კონტროლის განმახორციელები პირ(ებ)ის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

8.2 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მისი ფაქტობრივი მიწოდების და მხარეთა შორის შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

8.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს: სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემიის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

9. ანგარიშსწორება

9.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

9.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება შესაბამისი ანგარიშ–ფაქტურის წარმოდგენიდან, (თუ მიმწოდებელი არ არის დღგ-ეს გადამხდელი, დღგ-ეს არ გადამხდელობის შესახებ შესაბამისი ცნობის წარმოდგენიდან) და მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში. თუ ანგარიშსწორება ბოლო ვადა ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-12 მუხლის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1 ხელშეკრულების 3.1 პუნქტით და ტექნიკური დოკუმენტაციით განსაზღვრული მომსახურების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ასეთ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

11.2 ხელშეკრულების 7.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის აღმოფხვრისათვის შეტყობინებით დადგენილი ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო წუნდებული მომსახურების ღირებულების 0.07%-ის ოდენობით.

11.3 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11.4 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

12.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

13. დავების გადაწყვეტა

13.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

13.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია, მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა

14.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16. ფორს-მაჟორი

16.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

16.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით,

კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

16.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

17. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი _ შემსყიდველს.

18. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
სსიპ - ფინანსთა სამინისტროს აკადემია	**დასახელება**
წარმოდგენილი დირექტორის **სერგო ნოზაძის** სახით,	**ფაქტიური მისამართი:**
იურიდიული მის: ქ. თბილისი, ორხევის დასახლება აბზიანიძის ქ. №4,	**იურიდიული მისამართი:**
ფაქტიური მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №16	**ტელ:**
საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ს/კ 206348987	ს/კ **საბანკო რეკვიზიტები:**
სერგო ნოზაძე	

დანართი #1

ფასების ცხრილი

პრეტენდენტის დასახელება _____

№ (პოზიცია)	(*) გასაწევი მომსახურების დასახელება /სახე	(*) გასაწევი მომსახურების დეტალური ჩამონათვალი	განზომილების ერთეული	რაოდენობა /მოცულობა	(*) ერთეულის ფასი	რაოდენობა (პერსონა)	(*) საერთო ღირებულება	მომსახურების გაწევის ვადები	მომსახურების გაწევის ადგილი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	სადილი	ა) კიევური კატლეტი ბ)ღორის სუკი ბოსტნეულით გ) ბოსტნეული ჩანახი (სამარხვო)	გრ	100		**600**		ეტაპობრივად 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით	ქ.თბილისი ორხევის დასახლება აბზიანიძის ქ. №4-ში განთავსებულ სასწავლო კომპლექსში
2		ა) შემწვარი ქათმის ჩხირები ბ) შემწვარი ქათამი გ) კარტოფილი მექსიკურად (სამარხვო) დ) ქათამი ჩინურად	გრ	55-100					
3		ა) სპაგეტი ხორცით ბ) მაკარონი ყველით გ) მაკარონი ბოსტნეულით (სამარხვო) დ) პიურე	გრ	100					
4		ა) თევზი მაიონეზში ბ) ბერძნული სალათი გ) კიტრი-პომიდვრის სალათი (სამარხვო) დ) ქათმის ბურთები მაიონეზში ე) შემწვარი ქათმის ჩხირები	გრ	100					
5		ა) ღვეზელი ლორით ბ) ხაჭაპური გ) ტარხუნის ღვეზელი (სამარხვო) დ) პიკანტური გურული ღვეზელი	ცალი/ნაჭერი	1					

6		ა) სოკოს ღვეზელი ბ) ლობიანი გ) კარტოფილის ღვეზელი (სამარხვო)	ცალი/ნაჭერი	1					
7		პური	გრ	80					
8		ა) საწებელი ბ) ტყემალი	გრ	30					
9		წყალი	მლ	500					
10		გაზიანი გამაგრილებელი სასმელი	მლ	500					

(*) სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით მათ შორის, დ.ღ.გ.–ს გათვალისწინებით თუ პრეტენდენტი არის დ.ღ.გ–ს გადამხდელი. ნებისმიერი ხარჯი ან გადასახადი, რომელიც არ შევა ამ ღირებულებაში არ ანაზღაურდება.

(*) შემსყიდველს უფლება აქვს შეარჩიოს ცალკეული მომსახურების სახე ან დააჯგუფოს მომსახურების სახეები საჭიროებისამებრ.

(*) პრეტენდენტმა დანართი №2–ში უნდა შეავსოს მხოლოდ ის გრაფები, რომელიც ივსება პრეტენდენტის მიერ, კერძოდ ერთეული ფასის და საერთო ღირებულების ფასისი გრაფები, ხოლო სხვა დანარჩენი ინფორმაციის შეცვლის უფლება პრეტენდენტს არ გააჩნია.

(*) გასაწევის მომსახურების დეტალურ ჩამონათვალი გრაფა №3-ში მითითებული სხვადსხვა დასახელების კერძებიდან, შემსყიდველის მიერ მოთხოვნილი იქნება თითოეული პოზიციიდან მხოლოდ ერთი დასახელების კერძი მაგალითად ამ დანართის "პირველი" პოზიციიდან (კიევური კატლეტი,ღორის სუკი ბოსტნეულით, ბოსტნეული ჩანახი-სამარხვო) შემსყიდველი მიერ მოთხოვნილი იქნება რომელიმე ერთი, რაც ვრცელდება ყველაზე

(თანამდებობა, სახელი, გვარი) (ხელმოწერა)

დანართი №2

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ბანკი კოდი: